



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეკუა ილია ნესტორის ძე



ი. ვეკუა

ვეკუა ილია ნესტორის ძე [23. IV (6. V). 1907, სოფელი შეშელეთი, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, - 2. XII. 1977, თბილისი], მათემატიკოსი და მექანიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. (1958) და საქართველ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართველ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი (1947-51), საქართველ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1964-იდან), პრეზიდენტი (1972-77), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940). საქართველოსა (1966) და აფხაზეთის (1967) მეცნ. დამს. მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1969) დაამთავრა თსუ (1930). იყო ამავე უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკულტეტის დეკანი (1940-44), პრორექტორი (1944-47), რექტორი (1966-72), გამოყენებითი მათ. ინ-ტის მეცნ.-ხელმძღვანელი და დირექტორი (1968-77), სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1973-77), სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ.

ინ-ტის (მოსკოვი) დირექტორის მოადგილე (1955-59), სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი (1958-64), ნოვოსიბირსკის უნ-ტის რექტორი (1959-64). ვ-ს სამეცნ. შრომები ეხება თეორ. და გამოყენებითი მათ. მრავალი დარგის საკითხებს. განსაკუთრებული ადგილი უკავია კერძონარმოებულის განტოლებების თეორიას. ელიფსური განტოლებებისათვის დაამუშავა ამონახსნთა ზოგადი წარმოდგენების თეორია და გამოიყენა იგი სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთ-განზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში; განიხილა ფუნქციათა თეორიის ერთობ ზოგადი სასაზღვრო ამოცანა, შენიშნა მისი ახლებური ბუნება, ბოლომდე გამოიკვლია ამოხსნადობის საკითხი და მოგვცა ინდექსის გამოსახულება. ეს

გამოკვლევა საფუძვლად დაედო ღრმა განზოგადებებს ელიფსური დიფერენციალური ოპერატორების ინდექსის პრობლემასთან დაკავშირებით; დაამუშავა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რ-იც კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის არსებითი გაფართოებაა. ვ-ს ეკუთვნის დრეკად გარსთა მათ. თეორიის ახ. ვარიანტი, რ-იც გამოირჩევა მექან. სურათისადმი ზუსტი შესაბამისობით (იხ. ვეკუას მოდელი გარსთა თეორიისა). ვ. იყო სსრკ თეორ. და გამოყენებითი მექან. ნაციონალური კომიტეტის წევრი (1956-იდან), ედინბურგის (1958), სტოკჰოლმის (1962), მოსკოვის (1966), ნიცის (1970) მა-თემატიკოსთა საერთაშ. კონგრესების მონაწილე, გდრ-ის მეცნ. აკად. (1968), გერმ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. „ლეოპოლდინას“ (1969, ჰალე), მეცნიერების, ლიტ. და ხელოვნ. აკად. (1976, პალერმო) უცხოელი წევრი, რამდენიმე საერთაშ. სამეცნ. ორგანიზაციის წევრი, ჰალეს უნ-ტის საპატიო დოქტორი (1969), იენის უნ-ტის საპატიო სენატორი (1969). სსრკ VII-IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური პრემიის ლაურეატი (1963), სტალინური (1950) და სსრკ სახელმწ. (1984, გარდაცვალების შემდეგ) პრემიების ლაურეატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

საუბრობს ილია ვეკუა. ჩანერილია 1976 წელს:
<https://www.youtube.com/watch?v=RW1z5G8AOcs>

თბზ.: Новые методы решения эллиптических уравнений, М.- Л., 1948; Обобщенные аналитические функции, М., 1959; Некоторые общие методы построения различных вариантов теории оболочек, М., 1982.

ლიტ.: მ ა ნ ი ა გ., ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე ბ., ილია ვეკუა, თბ., 1967; ო რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ე., აკადემიკოსი ილია ვეკუა, თბ., 1982; ილია ვეკუა. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ნ. ბაღათურია, ე. დოლიძე, თბ., 1987; Б и ц а д з е А. В., Илья Несторович Векуа, Тб., 1967.

დოკუმენტური ფილმი - აკადემიკოს ილია ვეკუას პორტრეტი:
<https://www.youtube.com/watch?v=BFZ2MXpOyd8>
